ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4776741

ნომერი: AR1720997

თარიღი : 26.11.2019

გაცემის თარიღი : 03.12.2019

გაცნობის თარიღი : 05.12.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N155ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- I კლასი
- გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, და გაცნობებთ ,რომ გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს I კლასის შენობა-ნაგებობის სამუშაოებს და საჭიროებს შესაბამის თანხმობას, ხოლო დროებითი გამაგრების შემდგომ, აუცილებელია გამაგრების პროექტისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვება (შესაბამისი კლასით) და მიღებული ნებართვის შესაბამისად უნდა განხორციელდეს სამუშაოების წარმოება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა ,რომ შენობები არ წარმოადგენს I კლასის შენობებს და დაგეგმილი სამუშაოებით არ ხდება შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება, რაც ითვალისწინებს დროებით ღონისძიებას (გამაგრების სამუშაოებამდე მაგ : ბიჯგების შეყენებას და აშ.....) და ირკვევა რომ დაგეგმილია არსებული შენობების ამოერტირებული შენობების გამაგრება (შენობების კლასი და ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი კონსტრუქციული საექსპერტო დასკვნის შინაარსის ტექსტიდან ირკვევა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური თქვენს საკითხზე იმსჯელებს მხოლოდ არსებული შენობის კლასის შესაბამისად შესაბამის კლასში ატვირთული დოკუმენტაციის საფუძველზე .

სღიროა არსებული შენობის კლასის მიხედვით იქნას შერჩეული ნომენკლატურა : > • მზიდი ელემენტების, საყრდენი კედლის, დაზიანებული კედლის ან/და შენობის გამაგრება

• დამხმარე - ტექნიკური შენობები> შესავსოთ კლასის განმსაზღვრელი კალკულატორი > • პროექტის შეთანხმება> • მშენებლობის ნებართვა და და წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიის შესაბამისად შეავსოთ მოცემული ველები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი საკითხი არჩეული ნომენკლატურით განიხილოს თქვენი საკითხი და დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.